თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ. თელავი 2018 წლის 9 მარტი

**თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი.

**სხდომას ესწრებოდა აგრეთვე:** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

**მომხს: ლ. კოჭლოშვილი**

**მოისმინეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი

2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** ლ. კოჭლოშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა გ. ენუქიძეს მან აღნიშნა, რომ მრავალშვილიანი ოჯახების (სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია) დახმარების ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია მხოლოდ ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 200 000-ს არ აღემატება, წარმოდგენილ პროგრამაში ხდება მეტად სასიკეთო ცვლილებები, ვინაიდან მრავალშვილიანი ოჯახები დემოგრაფიული ფაქტორია ამიტომ სარეიტინგო ქულებთან დაკავშირებით შეზღუდვა მოიხსნება და ყველა ვისაც ყავს 18 წლამდე ოთხი და მეტი შვილი შესაძლებლობა მიეცემათ ისარგებლონ აღნიშნული სერვისით და თითო ბავშვზე შეძლებენ აიღონ 30 ლარი, ოთხ შვილზე 120 ლარი, ხუთ შვილზე 150 და ა. შ.

ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა ქვეპროგრამაშიც ასახულია კორექტირება, ,,ჩვენ გავაერთიანეთ შშმ პირთა ჯგუფები. მოგახსენებთ, რომ მკვეთრად გამოხატული გულისხმობს პირველი ჯგუფის შშმ პირს, გვხვდება მეორე, მესამე ჯგუფის შშმ პირები, ისინი ვერ ხვდებოდნენ აღნიშნულ პროგრამაში, ახლა კი შესაძლებლობა მიეცემათ ისარგებლონ პროგრამის ფარგლებში რომელიც თითოეულ ოჯახზე 150 ლარის ოდენობით დახმარებას გულისხმობს.

ელექტროენერგიის გადასახადის თანადაფინანსების ქვეპროგრამაში არ გვქონდა შემთხვევა და პრაქტიკამ აჩვენა რომ არიან მარჩენალდაკარგული ოჯახები რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის შვილები, და რომელთაც ძალიან უჭირთ, ამიტომ გახდა საჭირო დაემატოს სამიზნე ჯგუფს, და მიეცეთ საშუალება ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით.

უსახლკარო, საცხოვრებლად უვარგისი ბინების მქონე მოქალაქეთათვის დროებითი საცხოვრებლის ქირით დაფინანსების ან თანადაფინანსების ქვეპროგრამის ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფი-მარტოხელა დედები იცვლება მარტოხელა

მშობლებით. მოგახსენებთ, რომ აქამდე იყვნენ მარტოხელა დედები, ახლა უკვე დამკვიდრდა ასეთი მცნება, რომ მარტოხელა არის მშობელი და არა მხოლოდ დედა. ის შეიძლება იყოს როგორც ქალი ასევე კაცი და ამიტომ მარტოხელა დედა იცვლება მარტოხელა მშობლით.''

**გადაწყვიტეს:** კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის წარდგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი